

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი ზაფხუთი. ვაჟაფშაველას ქუჩაზე დადგენილი.

№ 16

ა პ რ ი ლ ი, 14 1896 წ.

№ 16

შინადასი: ყერა განცხადება.—ჩვენი დღევანდელი ვარაზი.—სწავა-და-სწავა ამახი.—საყურადღებო ამახი.—ზოგიერთი ფიქრი, რომელიცა.—იხედი ლექსი, ი. ველოშვილისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცნობა (გაგრძელება), ნ. ჟორდანიასი.—ბაშა ახუცი (შემდეგი), ჯაკა,სა.—სახუმარო გასართობი, ბალტაზარისა და ქუთაისის მიხაილის ბანყის განცხადება.

შემდეგი № 17 ნომერი (როგორც მეტი) გამოვა ხუთშაბათს 18 აპრილს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რადგანაც წამეტანი დრო გვეკარგება, დღეიდან ეპიტაფიებს უსასყიდლოთ აღარავის ეუწერთ. ვისაც ჰსურს რომ დაგვაწერიოს ლექსათ თუ პროზათ, უნდა წარმოადგინოს მხედრი ფული: 5 მ. მკვდრებისთვის 10 მ. ცოცხლებისთვის. 25 მ. ცოცხალ-მკვდრებისთვის. ზოგიერთ ქუთაისელ ინტელიგენტებს უფულოთაც დაეუწერთ სიამოვნებით. შემოსავალი საქველმოქმედო და გადაეცემა ქერიბა-ქალებს.

აბაგი.

ჩვენი დღევანდელი ვარაზი.



ინ არ იცის, თუ რამდენი უბედურება ზედ-ზედ ეწვია ამ ნახევარი წლის განმავლობაში მთელ იმერეთს და აგრეთვე რამდენსამე ქართლის სოფლებსაც. ჯერ იყო და გასაოცარმა წყალ-

დილობამ უფრო მართლათ რომ ეთქვათ, წარ-ღენამ, დააქცია და წალეკა დასახლებული ადგილე-ბის მიდამოები. მთელი სოფლების სარჩო-საბადებე-ლი: პირუტყვი, კალოები, სასიმინდოები, საცხორე-ბელი სახლები აღიდებული მდინარეების და ნიაღ-რეხებს ტალღებმა შევი და კასპის ზღვებს შეუერთეს შთასანთქმელათ. ვინ მოთელის, თუ რამდენ მოსახლეს გამოგლიჯა პირიდან საზღოების ყოველნაირი საშუა-ლება შარშანდელი შემოდგომის წყალდილობამ, რა-დგანაც სარჩო-საბადებელთან ერთად ხიდების და გზების დანგრევი, მისელა-მოსელაც უნდა შეწყვე-ტილიყო. ხომ იცით, რას ნიშნავს მისელა-მოსელა, და უმეტესათ ჩვენ დროში. მაგრამ, ეს დასაწყისი იყო: თურმე უფრო დიდი უბედურება მერე მოელოდა მთელ დასავლეთ საქართველოს. იან-ფრის მგორე ნახევარში რამოდენიმე ალაბის სიმაღლე თოვლით დაიფარა მთელი იმერეთი და ნახევარი ქართლი. ჩვენ ვერ შევიძლებთ აქ აღწერას, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვა ამ დიდ თოვლობას: გზების ხელ-ახლა შეკერა, თოვლი-საგან დამძიმებული სახლების დამსხვრევა, ადამიანე-ბის მსხვერპლი, შიმშილი, სიცივე, - ყველა ეს სიტუა-

განხილეთ

ყველა მხოლოდ მკრთალთ გამოხატავს იმ უმედულ-რებას, რომელიც ზედ კარზე მიაღვა თვითოეულ მცხოვრებელს. მაგრამ დრამა ყველაზე უსაშინელოს შემთხვევას უკანასკნელი მოქმედებისათვის ინახავს. სწორედ ასე მოხდა წელს იმერეთში და რამდენსამე ქართლის სოფლებშიაც. თოვლი უნდა გამდნარიყო და, აი, აქ უწყება ამ დრამის უკანასკნელი მოქმედება; თოვლის გადნობას მოყვება, ხელ-ახლა მდინარეების აღდგება, ხიდების დანგრევა, ზევეები, მთელი სოფლების თავის სახლ-კართი და მამულით დაშლენა და განადგურება. ჩვენ ვკონტებ, რომ ამით დასრულდა დრამა; მაგრამ სასტიკით ვცდებით! სხვადასხვა კუთხეებიდან და სოფლებიდან მოგდის შემძარწუნებელი ამბები: იწყრებიან უსახლ-კარობას, ულუკობას, იწყრებიან შიმშილს; გვატყობინებენ, რომ სიტყვით შეუძლებელია გამოეთქვათ ის, რაც ჩვენ თვალ წინ ხდებოდა.

ჩვერთვის სწორედ ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გავსებობა ყველაზე უფრო სამწუხაროა. რა უმედურება დატრიალდა წელს იმერეთში, ჩვენ ამის მესამედზეც არა გვაქვს სრული წარმოდგენა. ჩვენ არ ვიცით ადგილობრივი მთავრობა შეუდგა თუ არა ამის გამოკვლევას და ცოტათ თუ ბევრათ სრულ ცნობაში მოყვანას. ჩვენი კორესპონდენტებიც, საუბედურათ, არაკითხი სწორ ცნობებს ამის შესახებ არ იძლევიან. იმათი ამბები ვაუსებულა მხოლოდ დღეებში, ვადგებით და მოწოდებით ქართლელ მდიდართა მიმართ, რომ ამ უკანასკნელებმა გაიხსენონ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგრდნილი თავის მოძმენი. ჩვენც გვესმის კორესპონდენტების მდგომარეობა: იგინი ამ ჭამათ უფრო გრძნობას დამორჩილებიან. იმედი ვიქონიოთ მხოლოდ, რომ შემდეგისათვის საქორა ცნობებს მოგვაწვდიან მეტელყოყრენი.

რაც შეეხება იმათ მოწოდებას ჩვენი საზოგადოებისადმი, ამ უკანასკნელმა ამ საქმეში არ გამოიჩინა გულ-ქვაობა. სხვადასხვა ადგილას დაარსდა კომიტეტები, რომლების დადნიშნულებს შეადგენს შეწირულებათა შეგროვება და გაჭირვებული და დაზიანებული ხალხისადმი მიწოდება. ჩვენი მხრით, ეთლით თავის მოვალეობათ, რომ რამდენიმე მოსახრებანი წარმოეთქვათ ამ კომიტეტების საყურადღებოთ.


1) საქორა, რომ კომიტეტების მოქმედება არ დაქსაქსოს, არ გართულდეს, ე. ი. ფორმალისმის მეთხებით შემწეობის მიწოდება გაჭირვებულისადმი არ გაძნელდეს;

2) საქორა, რაც შეიძლება მალე მიუშველონ დაზიანებულთ და შემდეგისათვის არ გადადენ შემ-

წეობა, რადგანაც უმეტესობა ახლა საქორაგან ამ უკანასკნელს;

3) ყოველ ნაირ გაჭირვებას აქვს თავის ხარისხი; ამიტომ საქორა, ეს ხარისხი განსაზღვრულ იქნეს, რომ ერთს მეტი არ მიეცეს და მეორეს ნაკლები. უსათუოთ აქ ბოროტ-მოქმედებაც იხნეს თავს და ბევრი იმისთანებაც მიიღებენ შემწეობას, რომლებიც ამ უკანასკნელში სრულდით არ საქორებენ. ამიტომ კომიტეტებს მართებთ და იღიწობილთ მოქმედება, მაგრამ ზოგან სიყრთხილია გადაჭარბებაც აენებს ხოლმე საქმეს.

4) ჩვენ არ ვიცით, როგორ და რანაირათ აღმოუჩენენ კომიტეტები ხალხს შემწეობას? ე. ი. ფულთ, თუ ხორბლით, სიმინდით და სხვა ნივთებით? ჩვენ ვაქცევთ ამას უმთავრეს ყურადღებას და აი, ჩათათ: წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე გაჭირვებულს კომიტეტი აძლევს შამწეობას ფულთ. რა უნდა ქნას უკანასკნელმა ამ ფულთ? შექველია, იმან უნდა იყიდოს მითი საზრდო. მაგრამ ამისთანა გაჭირვებული დროითი სარგებლობენ, უმეტეს ნაწილათ ჩარჩები, რომლებიც დამალა და გაფუჭებულ საქონელს ერთი ათათ ასალებენ: თუ ამ გარემოებას არ მოაქციეს ყურადღება ჩვენმა კომიტეტებმა, ამ შემთხვევაში იმათი სარგებლობა შესამჩნევთ შეეცირდება. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი კომიტეტები უხელმძღვანელებენ ამ საქმეს და ნაზდელი გაჭირვებულთ აღმოუჩენენ შემწეობას.



სხვადასხვა ამბავი.



ბილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრება და იწყება 20 აპრილს. დირექტორის ადგილზე როკოროც გამოცხადებულა, კენკო უნდა იყო როს სხვათა შორის პოლკ. ქრისტეფორე მამაცაშვილმა. სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი აზნაულებს კრებაზე წარსადგენათ კომისიების მოხსენებას ქალთა სკოლის დაარსების ღვაჭათ—სამეფურთა სკოლის შესახებ.

* *

წარსულს 1895 წ. ანგარიშიდან ჩანს, რომ თბილისში ყოფილა სულ 13 ფაბრიკა, საცა მუშაობდა 1497 კაცი, და 274 ქარხანა, 2087 მომუშავეთი. ფაბრიკების წარმანდელი ნაწარმოები შედ-

გენს 1.544,029 მანეთს, ხოლო ქარხნებს დაუმუშავებია 3.629,668 მანეთის საქონელი. საერთო რიცხვი ყველა თბილისის ფაბრიკებისა და ქარხნებისა წასულ 1895 წ. შეადგენს 288, სადაც მუშაობდა 3584 კაცი; საერთო ჯამი წარმოებისა შეადგენს 5.173,697 მან. ამ ნაირთ 1895 წ. წარმოება 1894 წ. ნაწარმოებს თითქმის ერთი მილიონით აღმატება.



გაზეთ „კავკასის“ ბაქოელი კორესპონდენტი იწერება, რომ ადგილობრივი ქალაქის თვით მართველობა დიდი თანაგრძნობით გვიღებდა სახალხო სწავლა-განათლების საქმეს. სხვა-და-სხვა სასწავლებლებზე ქ. ბაქო ხარჯავს ასი ათასზე მეტს მანეთს. ამ წლიდან ეს ხარჯი უფრო უნდა გადიდდეს, რადგანაც ქალაქს განზრახვა აქვს კიდევ გახსნას ერთი ტექნიკური სასწავლებელი და მერვე პირველ დაწყებით სკოლა. არ გეანებია თბილისის გამგეობას. რამდენიმე წელიწადი ფიქრობენ თავშესაფარის გამართვას სახელოსნო სკოლის მოსწავლეეთათვის და ვერა გაუწყვიათ-რა.



მთელ რუსეთის სახელმწიფოში 1892 წლის დასაწყისს ყოფილა სულ 168 საეჯო გიმნაზია და 60 პროგიმნაზია, რაზედაც დახარჯულა 10.520,157 მან.



სამხედრო ბეგარის გადახდის ვადა კავკასიის მკვიდრთათვის აქამდის, როგორც ვიცით, სამი წელიწადი იყო, ახლა როგორც „ახალი მიმოხილვა“ გეტყობინებს განზრახვა აქვთ თურმე ეს ვადა ოთხ წლით შეეცვალოს, ე. ი. ისე, როგორც რუსეთში.



თბილისის ქალაქის საბჭოს 10 აპრილს სხდომაზე გადაუწყვეტია, რომ ხელმწიფის კურთხევის დღესასწაულის გამო იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რათა თბილისის ღარიბ მცხოვრებთ ეპატიოთ 20,000 მან. მამულებზე დარჩენილი გადასახადი.



თბილისის გუბერნიის თავდაზნაუროთა წინამძღოლი თავ. კოს. მუხრანბატონი 11 აპრილს უკ-

ვე გამგზავრებულია ხელმწიფე იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებათ.



გამოვიდა ახალი წიგნაკი „წმიდა ეკატრინე“; შარადის და ამზანაგობის გამოცემა ფასი 5 კაპ.



საყურადღებო ამბები.

ხმა ქიზიყიდან.

(მამასხლისების ამჟღავნების გამო.)



ანთლით საქმენელია იმისთანა სოფელი, სადაც ხალხი მაღლიერი იყოს სოფლის მოხელეებისა; ყოველგან გაისმის ერთი და იგივე სამღურავე და ჩივილი სოფლის მამასხლისებზე, თუ მსაჯულეებზე,—ემდურჩიან მათ მოქრთამეობას, უსამართლობას, სოფელზე უზრუნველობას, და სხვ. რამდენათაც სამწუხაროა ეს მოვლენა, იმდენათვე სამართლიანია. მართლაც—და, თითქმის ყველა სოფლის მოხელე ისე უყურებს თავის თანამდებობას, როგორც უყუთეს წყაროს, ანუ საშუალებას თავისი გამდიდრებისათვის; ყველას დაეიწყებია, რა წმიდა მოვლეობა აქვთ მათ სოფლის წინამე. რით აიხსნება ეს საზოგადო მოვლენა—მოხელეების უფარვისობა? შეიძლება ბევრმა მოხელეების უფარვისობა მიაწეროს იმას, რომ თვით თანამდებობა არის აქ დამნაშავე, რადგან ეს უკანასკნელი ძლიერ ხელს უწყობს მოხელეების ბოროტ-მოქმედებას და გინდ რომ სინდისიერი პირი იყოს ამარწყობილი სოფლის მოხელეთ, ის მაინც გაფუჭდება. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში, ის ასე მოხდეს, მაგრამ უმეტესათ კი თვით სოფლის საზოგადოებაა აქ დამნაშავე, რადგან ირჩევს მოხელეებათ იმისთანა პირებს, რომლებიც არც წინათ იყვნენ პატიოსნათ ცნობილი და, რასაკვირველია, რომ სოფლის თანამდებობა მათ ვერ გაეკეთება. უმეტეს ნაწილათ მამასხლისებათ ირჩევენ იმისთანა გამოქვით პირებს, რომლებიც ისე დამწეული არიან სოფლის უფლებით ცხოვრებას, რომ სრულებით გადაწყვეულს თავისი ოფლით შრომას. იკითხეთ: რათ ირჩევს საზოგადოება ამისთანა გაქნილ პირებს, როცა იცის, რომ ესენი მისი დამლუბველები იქნებიან? ხომ აქვს უფლება, ვინც მას უნდა, ის ამოიჩიოს და, მამასადამე, რათ არ ირჩევს კეთილ-სამიერ პირებსო?

ეს პატარა ერები და ზოგი მათი მსგავსი ძმებ, დიდი ხანია, ქრისტეს მალალს რჯულს აღიარებენ, დიდი სასოება და იმედი აქვსთ, რომ როდისმე ბრწყინვალე და მაღლით მოსილ ცხოვრებას ეღირსებოდნენ, შრომისა და კეთილის ურთიერთობის მეშვეობით ბედნიერ მომავალს დაიპყიდებდნენ და მთელი კაცობრიობისათვის სიტკობებითა და სიამით სასიყვარულო სიკეთის შესამატებლათ იცხოვრებდნენ. რა არის ამდენი განადგურება, ტირილი და ვეება, სისხლის ღვრა და ომი? საზარელს ომს, ხალხთა ქვლეტას და სიკვდილს მშვიდობა და კეთ-მოყვარება, სულ ყველა ერების საზოგადო ძობა და ერთობა არ ჯობია?

ამ წაშლ, როდესაც ასეთს საკითხებს ვიძლევი, ჩვენ საპასუხოთ ჯოჯოხეთში სატანა საშინელი ხმითა და გულბანათ ხარხარებს...

სატანა მართალია... შეხედეთ დღეინდელ ცხოვრების შუტის ძიებთა და მძულვარებით სასევ სინამდვილეს და, თუ გულის ალაგას ქვა არ გიძვეთ, ძლიერათ და ღრმათ შემოფოთლებით. ევროპის საქმეთა მიმდინარეობა იქამდს მივიდა, რომ სულ ყველა განათლებული სახელმწიფონი, დიდნი და პატარანი, ორს დიდ სამხედრო მოპირისპირე ბანაკათ არის გაყოფილი, თავით ფეხამდე თოფ-იარაღში ზის და მთელს ქვეყნიერებას, მის მრეწველობას და წარმატებას დღე-ღამე უქადის ისეთ ომს, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არას დროს არ უნახავს.

არა... ჩვენ არა გვწამს საფრანგეთისა და რუსეთის ჟურნალისტების გულ-წრფელობა, რადგან კარგათ ვიცით, რომ სახელმწიფოთა ასეთი ურთი-ერთი განწყობილება და გადაკრება დაბადა თვითონ ევროპის საქმეთა მდგომარეობაში, რომელიც აშკარაა გეომეტრიკებს, რომ მშვიდადა, შერიკება, სიყვარული, დაჩაგრული ერთა გამოსარჩლება-დახმარება, ფული და უღირსი სიტყვებთა და მხოლოთ სამხედრო ბძიძის ქარ-ცეცხლმა და შემადრწუნებელმა ომმა უნდა დაგვანახოს ცხოვრების საშინელი სიმწარე და შმაბი... არა გვწამს ამ ჟურნალისტების გულ-წრფელობა მით უფრო, რომ იტალიას ურჩევენ „სამთა კავშირს“ უღალატოს და საფრანგეთს მიემხროს, რომ რევანშით ვატყებულს თავის დროზე ზურგი კარგათ გაუშვაროს... არა? ახლა მიზანეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვებთ, თუ არა იმას, რომ ეს ჟურნალისტები „ვაკურბებულნი“ იტალიის აფრიკაში დამარცხებით სარგებლობენ თავიანთ „დაფარულ განზრახვათ“ შესასრულებლათ და, ვინ იცის, რა ხმებს და რა უქანურს ამბებს არ აერცვლებენ. კრისპი, მარკოზ დე-რუდინი და მასთან მთელი იტალიაც, მაინც სრულიათ არაეითარს ყურადღებას არ აქცევენ ამ პატარ-ცეცხლ ჟურნალისტების „კეთილ ჩრეფას“

და „მხოლოთ გაზვიადებულ თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ“ კიდევ არ არუევენ „სამთა კავშირს“ და ამაშეთს ებღუჭებოდნენ. არა... კრისპი მაინც ნამდვილა და კემპარტი ავანტიურისტია...

ამავე დროს მეორე ბანაკაც არ ძინავს. ძინავს კი არა... იტალიის ჯარების დამარცხებათ ავსტრო-უნგრეთსა, გერმანიასა და ინგლისში დაბადა დიდი და ცხოველი ინტერესი და საქმე, იქნება, იქამდის მივიდეს, რომ „სამთაკავშირის“ მაგიერ დაარსდეს „ოთხთა კავშირი“. შარშან („კალი“ № 50) მე მქონდა გაცერით ახსნილი, თუ რა მიზეზმა დაბადა ევროპაში „სამთაკავშირი“ და ვამბობდი, რომ „მას, მიუცილებლათ, ბოლოს და ბოლოს უნდა მიეკედლოს დიდი ბრატანიის გასაოცარი ძალ-ღონე და ოსტატობაც“—მეთქუ. და, აი, ეს დროც თან-ღთან ახლოებდა, ევრონებ... მაგრამ, ინგლისის განმარტობებით ყოფნა ზემო დასახლებულ ქურნალ-გაზეთებს დღეს სიკოლოთ არ ყოფნისთ და სისუსტეს, უძლურებას უკაჩნებენ.

შესაძლებელია, ინგლისმა განმარტობით ყოფნა ირჩიოს ისე, როგორც დღეს არის. მაგრამ ესეთი ყოფნა იმისი სრულებით არ ნიშნავს ამ სახელმწიფოს სისუსტეს. დიდი-ბრიტანია, რომლის მსგავსი სახელმწიფო, არც მიწა წყლის სიერკითა და მკვიდრთა რაოდენობით (თავის კალონიებთან, რასაკვირველია), არც სიმდიდრითა და ცოდნით, არც ოსტატობა-გამოცილებით და წარმოუდგენელი სამხედრო ძალით, ჯერ ქვეყნიერებაზე არც ყოვილა და არც არის, ისე თავისთავათ, მარტო-მარტო ძლიერია: მტრისათვის ფრად საშიშარი, მეგობრისათვის შემწყვე მარგებელი და ჭირის გამოყოფი. ინგლისს დღეს ისეთი უპირატესი, შეუდარებელი როლი უჭირავს, ისე ბატანობს თითქმის, რომ ძალიან ვადვილება თავის სახელმწიფო ინტერესების დაცვა და მთელი გასაოცარი მოსალოდნელი ომის ბედ-იბადალიც, იმისი ასე თუ ისე წყევანა, გათავება, თუ გადაწყვეტა, მხოლოთ და მარტო ინგლისის, ამ გასაშტერებელის, ზღვის ემშაბის ხელშია. ჩვენ ვამტკიცებთ, მხოლოთ არა ეხსნით მიზეზს კი ჯერ-ჯერობათ, რომ საშინელი, თავ-ზარ-დამცემი მოსალოდნელი ომის სახელის ორიე წყერი, წარმოადგინეთ, „სამთა“ და „ორთა კავშირს“, ე. ი. იმათ კი არ ეჭირებათ ხელში, ვინც იომებენ, არამედ ინგლისს. ეს ამავეი კარგათ იციან ევროპაში და სწორეთ აქ მარხია მიზეზი იმ გაბრაზებისა და მძულვარებისა, რომელიც აწას წი-

ნათ გამოაუტყდადეს ინგლისს და ზოგიერთებმა... სომხების საქმეშიაც უღალატეს. მაგრამ ეს ხომ ინგლისისთვის სულ წერილმანია... იგი უფრო შორს იხედება.

ხომილეო.

შემდეგი იქნება

იმედი

კიდევ იმედი... კვლავ იმედი...
შხოლოთ იმედი... სხვა არა ფერი!
ნუთუ იმედის შოლოდინშია
უნდა დაგლიო პირქუში დღენი!
მაგრამ ასე ჟოხს, დეე იმედმა
ბრძოლათ იწვიოს ნატკივნი გულო,
დეე ტრეილემა შორწუნ ეპიარი —
შერე ადვილათ გაივლის სსულო.
მე ამ იმედით აღფრთოვანებული
პირ სწორეთ გუნქერ მღვართ უგუესაპს,
გინდ რომ სსვის ოფლათ იტეპუბიან,
საფრათ სმარბუნ შმიპა-ერთობას*.
მე ამ იმედით აღფრთოვანებული
სამით განტეკურტ დიდეულ ხანს,
როს მაშრად გულოთ აღშოსთქილი
გბინჯა განთადს* ამგნეს ქეუყანას!

ა. კვლოშვილი.

მესამეცე წლების მალეწენი

ღა

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. კრისთავის იუბილეს გამო.)

VII *)



ერთი უდიდესი კანონი, რომელიც კი ოდესმე აღმოაჩინეთ არის შემდეგი: საზოგადოებებს წინსვლა, ცხოვრების განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი განვითარების აღორძინე-

ბის და განვითარებისაზე (მარქსი). მას აქვთ რაც ხალხის ნაწილთა შორის შრომა დაიყო, ერთმა იქონია მიწის შემუშავება, მეორემ მტერთან ბრძოლა, მესამემ ხელოსნობა და ეაქრობა და სხვ., მუდმივი შინაგანი ბრძოლის, ინტერესთა შეტაკების და ერთი მეორის დამარცხების საძირკველი ჩაიყარა. თვითოეულ ამ ნაწილს, ანუ კლასს, სურს ყველა დანარჩენი დაქვემდებაროს და თვითონ გაბატონდეს. ეს მისი ოლტოლეოების დედაბოძია, ეს მისი მოქმედების ჩარხია ¹⁾. ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათისა. ის კლასი, რომელიც ამ ორ ნიადაგზე გამავრებულია, გამავრებულია ყველა დანარჩენ ნიადაგზე. ის დგას ერის ცხოვრების სათავეში, ის არის ოფიციალური წარმომადგენელი მთელი ხალხის, აწყობს ყველავერს თანახმით თავისი ინტერესებისა, ჰქმნის ახალ წინეჩეულებს, მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხ. მეორე მხრით, დაქვეითებული, უკანა საფეხურზე მდგომი თავის მხრით მიილტვის ზევით, რომ იქ მდგომნი გადარეკოს და მათი ალავი თვითონ დაიჭიროს. მისი ასეთი მიდრეკილება ავითარებს მასში ენერჯიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღს, წერთნის გონებრივით, ამაღლებს ზნეობრივით; ერთის სიტყვით, ის ჰქმნის მეორე ქვეყანას. ამ სახით მოპირისპირეთ დგება ორი ძალი: ერთი იცავს არსებულ შის სასარგებლო წყობილებას, მეორე ანგრეტს მას და აშენებს ახალს. პირველი კონსერვატორია, ცხოვრების უკან დამჭერი, მეორე პროგრესისტია, ცხოვრების წინ გამაქანებელი. მაგრამ მისი პროგრესისტობა თავდება მაშინვე როგორც კი მიზანს მიახწევს. ახლა ის მეცადინეობს არსებული მდგომარეობა დაიცვას და მისი მოწინააღმდეგენი ქვეყნის მოლაღატეობათ დასახოს. ასე მომდინარეობს კულტურული ხალხთა ისტორია და უწყველთ ამას უნდა ემპორჩილებოდეთ ჩვენც.

1) განსუთქილება წარმოებს არა მარტო კლასთა შორის, არამედ თვითონ კლასშიც. ახნაური ახნაურს ებრძვის, გლეხი გლეხს, კაპიტალისტი კაპიტალისტს, მუშა მუშას. ეს წარმოადგება იქიდან, რომ არსებობენ საზოგადოდ, კლასები ე. ი. ისეთი ზირობები, რომელთაც დაზარაულის და დამზარაულის წარმოება შეუძლიათ. ზირველი არავითარ დონეს არ ზოგავს ოდინდ კი გამოიადეს თავის მდგომარეობისგან, ხოლო მეორე თავის შირით უოკედ დონეს სმარობს ის არ გამოუშვს იქიდან და მისი რიგსეი რან შეიძლება გაამრავლოს თავის სასარგებლოთ. მაგრამ როცა დაზარაულები იგნებენ, რომ ცა-ცა-დეე ბრძოლით არაფერი გამოადეს, ერთდებთან და იქონია მიაქეთ საერთო მტერზე. მაშინ უგნსკნეულად ამ ტასს ადგება და ბრძოლა კლასთა შორის აშვარს; საქმეწარს.

*) იხ. „კვლი“ № 15.

საქართველოს მუდმივი შეიარაღება, მტერთან ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება, აღორძინება თუ დაკლება მჭიდროდ შეკავშირებულია შინაგან, თავდაზნაურობა შორის, ბრძოლასთან. თეთროეულ სოფელს, ხეობას და მარზას საკუთარი ბატონი ჰყავს. ის უფრო შეძლებული და გავლენიანია, ვისაც მეტი მიწა-მიწული და ყმები ხელთ უპყრია. აქედან წარმოდგება განხეთქილება ბატონთა შორის. ესენი დაუცხრომლათ ერთმანეთს ებრძვიან. გამარჯვებული კიდევ უფრო მძლავრდება და თავისუფლათ პარაზობს, დამარცხებული, თუ შიგნი ვერაფერი გააწყუო, გარბის უცხოეთში, შემოაპყავს უცხო ვაჭარს და იმს უტყდებს ქვეყანას. გლეხ-კაცობა აქ არაფერი შეუაღია, არავითარი ხმა არ აქვს. მას მხოლოდ უბრძანებენ, რომ იგი გაიყოლიებენ, სამუშაოთ გაგზავნიან, ერთმანეთს აბრძოლებენ, სისხლს დაღვრიენებენ. გლეხ-კაცი, მართალია, შემთხვევითანავე ეწინააღმდეგება, ებრძვის თავის ბატონს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ბატონი მონახოს. საზოგადოთ ბატონების წინააღმდეგ ის ხმას არ იღებს, ეს აუცილებელ წყობილებათ მიანიძა, ამნაირი ბრძოლის დაბადება წინააღმდეგ, რომ ხალხს უთავდაზნაუროთ შეუძლია ცხოვრება. ეს კი ხანგრძლივი განვითარების შედეგია. გასულ საუკუნეებში გლეხთა არეულობა ხშირია ევროპაში, ჩვენი კი იშვიათია. რატომ? იმიტომ რომ ევროპა ადრე დაადგა მოქალაქეობრივ გზას და უსარგებლოთ გადაქცეული წოდება ტიერთი შეიქმნა. საქართველოში მძლავრი მოედანი ისე საჭირო იყო გლეხისათვის, როგორც სმ-ჰამა. სუსტი ბატონის ქმას ვაჭრეები ადვილათ დაარბებენ; ვალახვენ, მოკვლენ და სხ. ამისათვის გლეხი მუდამ „დაღ“ ბატონს ეძებს, რომ საუკუნოთ ეცხოვოს. ცხადია, გლეხობა აზნაურობაში ხედავდა სასარგებლო წოდებას, რაიცა იყო მიზეზი ფეოდალთა თავ-აშეგებულობის და ჩვენი უკან ჩამორჩენის. ეს ხანა საშინლათ გაძეგლდა და ბოლოს პოლიტიკურათც დავეცა.

სადაც უნდა გაჩენილიყო ისეთი ძალა, რომელიც ფეოდალურ წყობილებას შეებრძოლებოდა და ძველს ახალით შეცვლიდა? გლეხ-კაცობა არსებობს დიდი ხანია, მარა ასეთი ძალა ვერ წარმოადგინა. გლეხსა და ბატონ შორის განხეთქილების განუვითარებლობა პირველი საბუთია ცხოვრების განუვითარებლობისა. მარა შეძლოა კი გლეხობას რა-მე შეგნებულათ სამწრისოთ გამოსადეგი, ბრძოლა გამოეცხადებინა? არასოდეს ევროპაში თავის თაოსნობით მას რევოლიუციონერი როლი არ უთამაშია. მე-XVI საუკუნის გლეხთა ომი გერმანიაში მიმართული იყო უფრო ძველის აღდგენის, ვინემ ახალის შემოღებისაკენ. მათ სურდათ მიწის საერთო მფლობელობის

(Markgenossenschaft) ხელ ახლა აღდგენა, რაიცა ახალ ვითარებაში, ფულის ტრაილმა, დაარღვია (ესენიც „ნაროდნიცები“ ყოფილან!). საფრანგეთის დიდ რევოლიუციამ გლეხობაც თან ჩაითრია. Guerre aux châteaux, paix aux chaumières-ბრძოლა სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს — იძახდა საფრანგეთის გლეხ-კაცობა. მაგრამ განა რევოლუცია მისი თაოსნობით დაიწყა? რევოლიუცია პირველათ პარიემას ასტეხა, მას მიემხნენ პროვინციის ქალაქები ზ ბოლოს სოფლებიც. აშკარაა, ეს ქალაქის და არა სოფლის საქმეა. სწორეთ ამიტომ შეიქმნა ის შესანიშნავ ისტორიულ მოვლენათ.


ევროპას ფეოდალური ხანა დასცა ვაჭრობა-აღებმიცემის ხალხმა ე. ი. ფულის პატრონებმა, ბურჟუაზიამ. ეს კლასი უეჭველათ გლეხობასაგან წარმოიშვა, მაგრამ ის სარბიელზე გამოვიდა არა როგორც გლეხი-სოფელი, არამედ როგორც ბურჟუა-მოქალაქე. ჩვენ ისტორიულ წასულში ასეთ მიმართულებამ ფეხი ვერ მოიკიდა. ვაჭრობა-მოქალაქეობა ნაციონალური ნიღაღზე ვერ დადგა, ქართველს ეს ხელობა ვთაკილებოდა და სომხები ხომ ვერ გამოვიდოდნენ საქართველოს ცხოვრების განმაახლებლათ (იხ. ზევით).

ამ საუკუნეში ხალხში ფულის ტრაილი ბატონ-ყმობის მოსაზობამდინაც ვაჭრეცვლდა. ეს არ იყო ცხოვრების დედა-ბოძი, მარა ვინც შეიძინდა კიდევაც გამოიყენებდა. ხშირია ისეთი მაგალითი, რომ გლეხ-კაცს ფულის საშუალებით ბატონისაგან თავი დაეხსნას, ე. ი. სანამ მას კანონ-მდებელი მოეშველებოდა, ფული მიეშველა. ცხადია ფული მისთვის თავისთვის დასაცავ იარაღათ ვახდა. ეს ლითონი თავიდანვე გლეხს გამოეხარლა. ფული შეიქმნა მის ქვეყნიურ ღმერთათ, მას ეტრფის და თავყანსცემს. ამისათვის ყველას ფულის შოენის სურვილი ძეალ-ბრძოლაში უნდა გაჯდამოდა. ასეთი მიღრეკილება ფრთას შლის მესამოცე წლების შემდეგ. განთავისუფლებული გლეხა ჩაერთა იმ ხელ-ჩართულ ომში, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის ეწოდება. მრავალ მარგანს ბედმა ვაულობა და წაიდა წინ. ხელი მოკიდა ვაჭრობას, შეიძინა ქონება და ეს ოდემე უკანასკნელი პირი საპატრო პირათ გადაიქცა. ასე თან-და-თან შედგა ქართველი ვაჭარი და მრეწველი ხალხი, რომლის ძალა ფულზე არის დამყარებული... აზნაურობა ვერ კიდევ ტკობა ოცენებში იმყოფება, ძველ ისტორიულ ვაჭრობა-ეცემს ოცენას, ვაჭრობა კეთილშობილთ არ ეკადრებოდა. ის მთელ თავის ძალ-ღონეს შთამომავლობით უპირატესობაზე და მწა ადგილებზე ამყარებს. ვისაც უკანასკნელი აკლია პირველი ტრაზაობს, საზოგადოებისაგან პატივს თხოულობს


იმ საბუთით, რომ პაპაჩემმა აზნაურობა იშოვაო. მაგრამ როგორც ვიცით, დღევანდელი დრო ფულის დროა, აზნაურს მიუხედავად მისი კეთილშობილებისა, ფული ესაჭიროება, ფული კი ვაჭრების ხელში ტრიალებს. აწაირათ, ისვენება ახალი ურთიერთობა კეთილშობილთ და აზრ-კეთილშობილთა შორის.

პირველი თან-და-თან ვალიანდება, ქონება ეკარაკის, მერე თან-და-თან მდიდრდება, ქონებას იძენს.

თავდა-აზნაურობა თავის მდგომარეობას მეურნეობის დაქვეითებით ხსნის. რატომ დაქვეითდა მეურნეობაო, რომ ჰკითხოთ, ის მზეს, მთვარეს, წვიმას, გვალვას, სეტყვას, ერთი სიტყვით, ბუნების



ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ქ
ღ
ყ
შ
ჩ
ც
ძ



ლონდონის სიდიე.

სველა მოგვლენას ჩამოთვლის და ზედ დაატანს აი, ესენია მიზეზიო. ამ ნაირათ გამოდის, რომ ეს მისი დამოუკლებელი ბუნება ამ საუკუნეში და ისიც ამ უკანასკნელ წლებში აღმოჩენილა! ეს, რასაკვირველა, თავის მოტყუება, გულის გაკეთებაა. ერთი, რამ თვით პირველი წინადადება ყალბია. დღევანდელი ჩვენი მეურნეობა დაქვეითებული კი არა, გაცილებით წინ არის, ვინემ ამ 20—30 წლის წინათ იყო. ხოლო საქმე იმაშია, რომ დღეს არ ყოფილი, ბევრი სურთ და ამიტომ გაიძახიან მოგვეხმარეთ, დაცემული მეურნეობა ფეხზე დაგვყენებითო. ქვეყანა ესმარება, მაინც მაინც არაფერი ეშველა; ის მაინც „დაცემულია“ რა ჯაღო მუშაობს აქ? ჩვენებურ მემამულეს ფული ისე სჭირია, როგორც ვეროპოიეს, მაშინ როდესაც მამულის წარმოება ქართული აქვს. რას ნიშნავს ევროპული მეურნეობა? აი რას: ნაკლებ სავრცეს მემამული გამოაღებია. ეს ზდება დიდი კაპიტალის დაბანდებით. ამას უწოდებენ ინტენსიურ კულტურას. როგორც ხედავთ, ეს ერთიანათ აშენებულია ფულზე; მტეი ფული და ნაკლები მიწა, ჩვენში ეს ერთიანათ შებრუნებულია, აქ არის: მტეი მიწა და ნაკლები ფული. ეს ფორმულა რომ შებრუნდეს, ამისთვის აუცი-

ლებელია: ფეოდალური მიწათმფლობელობა დაირღვეს, საკუთრება დაიკონოს, მოგზარედეს ფულიან კაცის ხელში და სხ. ჩვენ დღეს ამ გზაზე ვართ. იქ, სადაც საკუთრება ნაწილდება, პატარაედება, ეკონომიური წარმატება ჩქარი ნაბაჯით მიდის, როგორც ამას დასავლეთი საქართველო მოწმობს. ეს არის, როგორც შედეგი, ისე მიზეზი ბურჟუაზიული წყობილების აღორძინებისა. ბურჟუაზიული მიწათმფლობელობა და წარმოება ძირიანათ ეწინააღმდეგება ფეოდალურ მიწათმფლობელობას და წარმოებას, რასაც ხატავს ზემოთ მოყვანილი ორი ფორმულა. დღეს ესენი ებრძვიან ერთმანეთს, ამ ბრძოლაში მარცხება ის, ვინც უკანასკნელი მიდრეკილების წარმომადგენელია, — თვად აზნაურობა, იმარჯვებს ფულის პატრონი — ბურჟუაზია.

ამით კიდევ არ იხსნება შემდეგი საკითხი: რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტალისტურ წარმოებისაკენ გადავიდნენ? აი, ამის პასუხი: ფული რომ წარმოებაში დაბანდო, სჭირია ის გქონდეს; მეურნეს ფულის შექმნა შეუძლია სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვით. გაყიდვა მოასწავებს იმედ ღროს ყიდვას, გამყიდველი მყიდველს,



ვაქარი მუშტარს. ყიდულობენ იმ ნაწარმოებს, რომელიც მიყვარს არ შეუმუშავებია და, მასასადამე, არა აქვს. ეს მოითხოვს შრომის განაწილებას. ჩვენში დღეს შრომის განაწილება სუსტია, ერთი აწარმოებს იმას, რასაც მეორე აწარმოებს. ისინი ერთმანეთისაგან აღარას იყიდიან. შრომის განაწილება შედეგია შრომის განვითარების, ეს კიდევ შედეგია მრეწველობის და აღებ-მცვეობის. ყველა ეს ჩვენში ახალი დაწესებულება და მისი გაძლიერება დროს თხოულობს, ხოლო ფულის საჭიროება დროს კი არ თხოულობს, ფული ყოველ დღე, ყოველ საათში გვჭირდება. გავყვით ქვეით. რადგანაც ჩვენში შრომა საქმარისათვის განვითარებულია ²⁾ არ არის, მეორე მსოფლიო ბაზარზე ვეღარ უძლებს უცხოეთის მეტოქეთ, რომელნიც უმაღლეს ეკონომიურ საფეხურზე დგანან და, მასასადამე, ნაწარმოების შემუშავებას იაფათ უჯდებთ. ამნაირათ, ჩვენი მეორენათვის ვიწროთ შემოიხანა როგორც შენაური, ისე უცხოეთის ბაზარი. აი, რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტალისტურ კულტურაზე გადავიდნენ. ³⁾ ჯერ ისინი უნდა დამარცხდნენ, დეალიანდენ, გაკოტრდნენ, რომ მათი საკუთრება დაიყოს, გადავიდნენ ფულიანთა ხელში და ინტენსიურა კულტურა გამოეფდეს. აი, რა ნაირ მსხვერპლს თხოულობს ჩვენი გავეროპილება! ამ შემთხვევაში ევროპიელობის წარმომადგენელი ბურჟუაზია, მსხვერპლი კი მემამულე თავდაღანაურება.

6. ყორღნაის.

(მემაღლე იქნება)



²⁾ შრომის განვითარება ნიშნავს შრომის განუყოფიერებას ე. ი. როცა ერთ და იმავე დროს განმუშავდება ერთი და იმავე საქმიანობაში, ვინც წინეთ, ამ შემთხვევაში თითოეული დაშვებული საქონლის ფასიც ნაკლებია.

³⁾ განსულ საუკუნეში ბრუსიის მეფემ ფრიდრიხს დადო მოხელის ინტენსივობის მისხვედლებით ინტენსიური გულტურის შემოღება. უკვლა შემამულე, რომელიც ვი ამ გზას დადებდა, გაკოტრდა. დანახარების ნაკლებიც ვერ აიღეს იმიტომ, რომ ფართო ბაზარი არ ქონდათ. ჩვენი შემამულენი ამ ფაზით, რასაკვირველია, უფრო გარკვეული ნიშნებში იმყოფებიან, ვინც განსულ საუკუნის ბრუსიის შემამულენი.

ბ ა შ ი — ა ჩ უ კ ი . ^{*)}



მ ხანებში არეულობა მოხდა იმერეთში და ქართლის მეფე ვახტანგი, შახ-ნავაზთ წოდებული, გადაიწვიეს, რომ მისა შეიღო არილი იმერეთის მეფეთ დასეთ. იმერეთის დიდკაცობად და პატრიისცივით და ძღენით დაუხვდა დიდმულ სტუმარს. სიუხვით ყველას წირეთელმა გადააქარბა, თუმცა მეფის გული კი აბაშიძემ უფრო მოიგო და ბეგრაც არა დახარჯვია რა; მხოლოთ ათი ახალგაზდა ქალიშვილი, ერთი მეორეზე უმეინიერესი, მიართვა; ყვენიისთვის საჩუქრათ დაკურდებოა. ამ მცირე ძღენით ისე კმაყოფილი დარბა მეფე, რომ სხვების განძი ჩალათაც აღარ ჩაუგდია. წერეთელი, როგორც მეტოქე და მოქიშვე აბაშიძისა, ყველაზე უფრო გულნატყენი დარბა და დლონდა. კოკო ბაქრაძემ მეურნია აღნი ბატონს და მოახსენა:

— თქვენი ქება დიდება თქვენი ემების ქება-დღეება, თქვენი ძღვევა მოსილობა ჩვენი გამარჯვებაა, დნუ გვიხამ მისთანა საქმეს, რომ აბაშიძის საყმოს სასკინო გავხდეთ! მეფე რომ ქართლში გადაბძანდეს და წერეთელზე აბაშიძე უფრო პატრიით მოიხსენიოს, ეს ჩვენი სიკედილი იქნება.

— მეც მაგას ვწყურებარ, ჩემო კოკო, მაგრამ რა გქნათ?— მოიუგო ბატონმა დლონებით. — ხარჯი არ დამიკლია, თავი არ დამიზოგავს, სალარო თითქმის დავაცალიერე და მეტი რალა გქნა?

— ჩემო ხეწიფევი, თუ არ გამოიწყრებით, ჩემს უგუნური კუთით ისეთ რამეს გირჩევთ, რომ მეფის გულიც თქვენ დაიჩინოთ და აბაშიძის ძღენიც და ავიწყოთ; ისეთი რამე მიუძღენით, რომ მართლმასაკვირველი და საარაკოც იყოს!

— თქმა ადვილია, მაგრამ რა გამოეძებნოთ მის გისთანა?

— ღმერთი მოწყალეა! რახან ლამაზ ქალებზე კი მივირად საქმე, არა გვიპირს რა, ბედი ჩვენსწარ არის, ღვიმის მონასტერში ორი დები იზღბიან ტყუბის ცალგები. ერთი მეორესგან არ გაიორტება და არც მათი მსგავსი რამ ნახულა ჯერ ჩვენში.

— მეგრე და ოზღები არიან? უბატონო?
— თითქმის, ჩემო ხელმწიფევი! ჩემს მეტი აღარაინა ჰყავსთ და მე ან ჩემი თავი რათ მინდა და ან ისინი, თუ არ თქვენი პირის სანაცვლოთ? დენი მათ აღარ ჰყავთ და მამა, ერთი ძმა ჰყავდათ ისიც დიკარვა, ამდენი ხანია, მისი ასაველი-დასაველი აღარა ვიცი თო; მეც ხომ უკოლშვილოთ ვადნ?

^{*)} ის. კვლე № 15.

დივარ ეს არის და თქვენს გარდა პატრონი და ქირის უფალი ვინღა ეყოლებათ? გამოიყვანეთ ორივე და მიუძღვენით მიფეს, ისანი სადაც უნდა იყვენ, სასახლის კარზე, საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავთ რა; მათი სილამაზე და მზეთ უნახაობა არც ერთს გზას არ დააკარგინებს.

დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი; მისი ნაერთ-გულარი ბაქარას შეიღებდა დასაკარგავათ არ ემეტებოდა, მაგრამ ამაშიძის მეშურნეობამ დარია ხელი; გამოიყვანა ორივე დები და წასვლის დროს მიუძღვნა ენებანგს. როგორც მეფე, ისე მთელი მისა ამაღა გაოცებული იყვენ ბაქარადის ქალებს: სილამაზ თ, მით უფრო რომ ერთს მეორესაგან ვერ არჩეოდნენ. მეფემ აღარ იცოდა, როგორი მაღლი გადახვდა წერეთლისათვის და დიდძალი ყმა და მამული უბოძა ზემოქართლში. თვითონ კმაყოფილი დაბრუნდა ქართლისკენ და დიბაჩა, რომ როგორც ეს ორი მზეთ უნახავი, ისე დანარჩენი ათი ქალიშვილიც, თორმეტვე ერთათ გამოემგზავრებიათ.

მისი ნება ასრულდა, მაგრამ შიგ შუაგულ ქართლში ერთი უცნაური და უჩვეულო რამ მოხდა; მეფის ბარგს დაესხნენ თავზე ავაზაკები მოულოდნელათ და თორმეტეტი ქალი მოიტაცეს; ნიუთელთა ბისათვის კი ხელი არ უხლიათ.

მეფე ეახტანგს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა, ბძანა გზების გაკრა, მთელი სამეფო შესძრა, იმერეთშიაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლბა თუ მიწამ, ეერა გაიგეს რა. ხალხში კი ჩუმათ ლაპარაკობდენ აქა-იქ: „ეს ბიჭობა, კახეთში რომ გამოჩნდნილი ბაში აჩუკია, მისი საქმე უნდა იყოსო“.

დღმა ბანმა გაიარა ამახ შემდეგ. ქილაობის შემდეგ აღდუშაილ თივის ქერქში ევლარ იყო; გულში ჩაიდვა ბაში-აჩუკის ჯგერ და სულ მარტათ მარტო აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელ დღე; უდაბურ ტყეებშიაც კი დადიოდა, რომ ემება სადმე წვატყდენ ჩემ მძლეველს, სამაგიერო გადაუხადა და სირცხვილიდან გამოვიდეთ.

მარტო აღდუშაილი არა თიქრობდა ბაში-აჩუკზე, სხვებსაც ბევრს ჰქონდა ვატყნილი ძილი, მაგრამ მიუხედავად კი სხვა-და-სხვა იყო; პირველს ევაკატური ჯგერი აშუთებდა და სხვებს კი ათასი ოქრო არ ასვენებდა. ამ უკანასკნელებში ყველაზე უფრო მეტათ ჰქონდა საღერღელი აშლილი თიმ-სალმაკას. ეს

იყო თელავში მცხოვრები ტურტრას ქერივი, ჰქუთათა და მოხერხებით განთქმული; უამისოთ არც ქირი და არც ლბინი არ იქნებოდა, აეშაიც გამოსადეგი იყო და კარგშიაც, და მასთანაც განთქმული მაქანკალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზდებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქო ტრუსის სუნი ეცაო, იქ განზდებოდა და დაატრიალებდა ჯარას; დიდსა და ჰატარას ყველას იცნობდა, ყოველ ოჯახში შინაური იყო, ყველასთვის საქირა და გამოსადეგი, მაგრამ არავის არ უყვარდა. გაიგო თუ არა, ბაში-აჩუკის თავი ათას ოქროთ დააფასესო, ან-გარებამ აიტანა და ამბობდა გუნებაში: ხუმრობა არ არის ამდენი ფულიო? ჩემი ხერხი და ეს ერთათ ქვეყანას უნდა წაღმა დაატრიალებენ და უნდა უქულმაო. ბაში-აჩუკი როგორმე მე უნდა ჩავიგდო ხელშიო, როგორ შეიძლება, რომ მისი ბინა და ეინაობა ხალხში არავინ იცოდესო. მარტო ის ხომ არ არის გაავარდნილი, მასთან ერთათ ვინ იცის, რაჰდენი ახალგაზდებიაო! როგორ დაგიჯერო, რომ ერთ მთვანს მაინც ვინმე სოფლელებთან დამოკიდებულგმა არა ქონდესო? — ეს რომ გადწყვიტა გუნებაში, კიდევ შეუღდა საქმეს; სადაც კი მოჰქარავდა ყურს, ამა და ამ სოფელში ნაძრახი ქალი ვინმე არისო, იმდენს ეცდებოდა, რომ გასცნობოდა და დამეგობრებოდა. ზოგიერთ ოჯახებში ნათელ მირონიც კი შეიტანა, მაგრამ ეერას ვახდა, ეერა გააგორა; მხოლოთ ეს კი აიღო აზრათ, რომ თუ ვინმე იცის მათი ამბავი, თვე-დორაანთ მეღანამ უნდა იცოდესო და დუშშირა იმასთან სიარულს. თვედორაანთ მეღანა თელავის მახლობლათ ერთ ჰატარა სოფლის განაპირას, ტყის პირათ, ცხოვრებდა ორი ჰატარა შეილით; ქმარი თათრის ჯარში ყავდა ჩაღრათ შესული, თითონ ოროლ თეგობით თვალით ეერა ჰხედედა. სილამაზით ნაქები იყო და ცოტა არ იყოს, სახელც ვატყნილი ჰქონდა თიმ-სალმაკამ ერთხელ, სტუმრათ რომ მივიდა მასთან, სახეზე უსიამოვნობა შეატყო და განგებ იკვიანებდა წასვლას, საწამ მოსალოდნელმა აედარმა მართლა არ მოასწრო; შეიქნა ერთი ქვეა-ქუხილი და თავსმმა, ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მეღანოსთან. მასპინძელს შუთთვა თან-და-თან უფრო ეტყობოდა და ეახშმის მზადებას დაუქმარა; ხელათ გაშალა სუფრა, გვერდში ამოიდგა ერთი ღოქი კახური და ზედი-ზედ უსხავდა

სტუმარს. აძალებდა: „დალიე, ღმერთმა შეგარგოს და ტუბილათ დაგვიძინებო.“

თიმ-სალმაკო სიცილით ეუბნებოდა: ჩემო ნათლი დედაე, ეგ რომ არ დაეღიო, ისეც ტუბილათ დამძინებო. მისთანა წამალს დაეყრი ხოლმე ეახშმათ ჩემ საქმელს, რომ გათენებამდის ზარბაზნებიც რომ თავზე მახლონ, მაშინაც ევრას გავეგებო, მხოლოთ ფერად-ფერად სიზმრები, თითქო სასუფეველში ვიყო, ი'ე დამტრიალებს თავსაო, ერთხელ რომ შინჯო, შენც, ჩემი არ იყო, მერე ხელს ევლარ აიღებო. ეს რომ თქვა, ამოიღო ჯიბიდან პატარა გამოკრული პარკი, გაშალა და ფხენილი შეკამდის მოაყარა, ხაშხაშისაგან შეზავებული ძილის წამალიაო. — შენ კი ევრ გირჩეე, ჩემო ნათლი დედაო, ბალღების პატრონი ხარ და ღამე ბევრჯელ გამოღვიძება დაგჭირდება; მე კი რომ დავეღვლები რუმბივით, გათენებამდი ევლარას გავიგებ, მკედრის ძილი წამიღებსო. — მოუტრა თავი პარკს და ჩაიღვა ისეე ჯიბეში.

ჯერ შუა ჭამამდი არ იყვენ მისული, რომ თიმ-სალმაკოს მიქნარება დააწყებია და თვლები მოეპარუნა; ერთი-ორი წაილულულა გაუგებრათ და ჩაკიდა თავი... ძილი მოეკიდა, მელანამ ძლივს მათრია კუთხისკენ, მიაწეინა ლოგინზე და საბანი გადააფარა. სტუმარი გაიშმუშნა, გადაბრუნდა კედლისკენ და ამოუშვა ხერინი. მელანამ ღიმილით წაიჭურჩულა: მერეთ მოსელამდისაც ნუ გამოგეცმებიაო და გამოტრიალდა სუფრისკენ, მაგრამ ალაგების ნაცვლით ხელ-ახლა დაუწყო გაწყობა; მიღვა თაროზე, გადმოიღო იქიდან ცივთ მოხარშული დამზადებული დედალი; ყველი, რგელათ მოხარშული კევრუხები, ხელადით ღეინო, გააწყო სუფრა და ხელ-პირი დიბანა, თმა დაეარცხნა, წითელი ბაღდადი მოიხეცა თავზე და კაპწიობა დაიწყო. რამდენჯერმე მოიხეცდა თიმ-სალმაკოსკენ, მაგრამ ის ევრას ხედდა; პირ-შექცეული კედლისკენ ევლა უძრავთ და ხერინაედა. მელანამ მიიტანა თავისი ძველი თავსაფარი და თავზე გადააფარა, გამობრუნდა, დაჯდა ცუცხლთან სამფებ სკამზე და კარებისკენ იწყო ყურება. დღახანს აღარ გაუღია, რომ ეტოში ძალმა დაიყვება და შეუტია ვიღაცას, მაგრამ მალე გაკმინდა ხმა, წუწუნი დაიწყო; მელანო ზეზე წამოფარდა და მიამურა კარებს გასაღებთ; თავ მომძინარებულ თიმ-სალმაკოს გულმა დაუწყო ძვრა, მაგრამ არ განძივლა.

სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი, გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მიაყუდა კედელზე. მოიხდა ყაბალახი, უკან ზურგისკენ გადაიღო ფუფანაკი, თოფი იქვე მიაყუდა, დამბახა, ხმალი და ხარჯალი ტანზევე გაისწორა და ღიმილით გადახეცა მელანოს. ქალი წუწუბლასავით ჩამოეკიდა კისერზე; დიბანას შეტყუაბულსავით იყვენ თავ-დავიწყებული...

ახალ მოსულს უცბათ ხერინი შემოესმა და შეკრათ.

— ნუ გეშინია, ჩემო სიკოცხლე, ჩემი ნათლია არის, ტერტერას ქერივით, ხაშხაშ ნაჭამია და სძინავს. შენ მტერს ნურა გაუგია, მაგან ევრა გაიგოსრო უაზრო ყველაფერი, მაგრამ ვაჟი მინც იქნეულათ აქნედა თავს. თავის სიმაართლის დასამტკიცებლათ მელანამ ჯინჯალი დაუწყო მძინარს, ხან ფეხებში მოაელო ხელი, ხან თავი აუწია, ბევრი აცოდა, მაგრამ ევრ გამოაღვიდა. ერთხელ კი წაიტყუებოდა მძინარმა რე ამოუშვა ისეე ხერინი.

— დაესტენ, ნუ აწვალებო! — მიამახა ბაქრაძემ. — სანამ გე გამოიღვიძებდეს, მე აქედან შორს ექნებო; — მოუჯდა სუფრას და საყვარელიც გვერდში მოისეა.

დიბანას იჩიკიკეს ისე, როგორც შეყვარებულთა რიგია; სხვათა შორის ქალმა ჰკითხა: — ბაშაჩუკს რათ გეძინანო? — და ეგმაც მიუყო, ეს აქ დამარქვეს თათრებმაო, ფუფანაკით რომ მხედვენ; უქუღო ვგანივათ, თავ-მოხდილა, და მათებურათ ბაშაჩუკი თავ მოხდილა ნიშნავსო.

ამისთანა ამბები ბევრი ილაპარაკეს ეახშმზე; ბაშაჩუკმა ერთი კვირის, როგორც თავისი, ისე თავის ამხანაგების თვეგადასავალი დაწერილობით უაზრო მგობარს; ნუახშმეც ცოტა მოიალღერეს... მერეთ მამლის ყვილზე ვაჟი გამოეხალმა ქალს, უთხრა, დღეის წორამდის ნულარ მელიო და გაუშვა გზას.

ტერტერას ქერივს ერთი სიტყვაც მათა ნალაპარაკევი არ გამოჰპარვია, მაგრამ დილას კარგა ძალზე იყო ამ-ისული მზე, რომ გამოეღვიდა და ისე წამოაღდა ზეზე, თითქო წუხელი სიზმარიც არ ენახისო, გამოეთხოვა ნათლი-დედას და გაუღდა გზას.

აჟაი.

(შემდეგი იჭება)

სახუმარო გასართობი


პოი! მტიფრელნო, ჩენნო მომფარდულობელნო, მეპრატეენო, კოლტობით მცხოვარნო, გინა მეკულტენო, მეხამარობნო, ანუ მეხამარნო, გინა მესახამარენო, მესეცობით მარჩენალნო თვისი აგემისა“ იყლიმის წყალობით, მესანარკვენო, ოსტინაგის მიმდევარნო, ნიშატიო ქებულნო, შანართთა და შორავში მქეკენო, მეთუნენო, არკატიოვლთა ონოტოვლთა ზე მარობელთა მეთუნეთა უკეთ გამოყენენო ოარნაკთა დი სხვათა, არკატისს აღდატიდან მსემნო საქართველოს დიდებულ „მდლოსი“ და „ცხოველთა გროვის“ ფსხით მოყვარულნო, გარიონო, ჩიანო, გინა პითაენო, და უმქარნო მკედრნო გახარენით, გახარენით! კონსტანტინე დიმიტრის ძის ყოფიანსაგან სადუნის პროტასიით დაიტვიჭრა თქვენთვის, ჭი ბედნიერნო, არა ანგოლელ, არა იენ-

გილუნელ, არამედ დავუმბათანელ თუ. დიპპრტის წიგნი კულტურა პინაქსით, რომელიც გავიწვეთ იგივე ყიბლანობას. მოიმარჯვეთ სმენისა და ქერტისა „სახმართ შედგმულობანი“ და იწინეთ ჯერჯერობთ „სიკოცხლის გაძღვინების კულტურა“, „შემდეგ გაიგებთ „საზოგადო დაწყობილობის დაარსების ამბავს“ და ბოლოს „ენისა და მწერლობის გამოგონებას“.

გაიგე რამე, მკითხველო? ჯერ იჩხირკედლავე, ეს ჩემი „პროტასია“ შეისწავლე და მერე შეუდექ ყოფიანსაგან „გადამოქართულბულ“ ლიპერტის—კულტურის კითხვას.

პალტასარი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.



ქუთაისის მიხაილის თავად-აჯნაპრთ საადგილ-გაგულო განკის გაგეგვა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-24 § მალით, 20 მაისს ამა 1896 წელს საზოგადო ვაჭრობით გასუიდეულ იქმნებიან ქალაქ ქუთაისში ამავე ბანკის სადგურში ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ზირთა, შესასყედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

187/12 და 1911/12 წლიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 114 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1406 მან. 55 კაპ. შეს. გარ. 133 მან. 18 კაპ., სულ 1539 მან. 73 კაპ.

ჭიტიშვილის ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 42 მან. 53 კაპ. შეს. გარ. 28 მან. 80 კაპ., სულ 71 მან. 33 კ.

გაბაევის ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვიტკირის ღუქნები და მიწა 65 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1939 მან. 25 კაპ. შეს. გარ. 105 მან 90 კაპ., სულ 2045 მან. 15 კაპ.

თაყაიშვილის მამაჯან და მიხაილ ელას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვიტკირის ღუქანი და მიწა 5,5 მან ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 921 მან. 16 კაპ. შეს. გარ. 81 მან. 78 კაპ., სულ 1002 მან. 94 კაპ.

43 1/2 და 48 2/3 წლიანი სესხნი.

ქუთაისის ღუბერნიის და მისივე მხარისა.

მეგრულიშვილის იოსებ ისბაკის ძის: ბალის ქუ-

ავდიანისა ლუკა და იესე სიმონის ძეთა: გუმა-

თის აგარს სახნავ-სათესი, ზეარი და ტყე 26 დღს. 500 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 673 მან. 68 კაბ. შეს. გარ. 62 მან. 70 კაბ., სულ 736 მან. 38 კ.

ჭოჭრაშვილას ლუკა დავითის ძის, გარდასული ნატალია ელიზბარის ასულის ავიაშვილზე: სოფ. ტყაირის ეზო, ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 114 დღს. 1931 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 12732 მან. 73 კაბ. შეს. გარ. 774 მან. 56 კაბ., სულ 1350 მან. 29 კაბ.

კაენაძის ივანე ზურაბის ძის: სოფ. დიშს სახნავ-სათესი და ტყე 15 დღს. 2040 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 848 მან. 84 კაბ. შეს. გარ. 78 მან. 47 კაბ., სულ 927 მან. 31 კაბ.

გამყრეღაძის ლევან გიორგის ძის: სოფ. ოზნას ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 11 დღს. 1464 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 776 მან. 6 კაბ. შეს. გარ. 66 მან. 87 კაბ., სულ 842 მან. 93 კაბ.

ურსთავის გიორგი დავითის ძის: სოფ. საღომინას და ნოღას სახნავ-სათესი, ზეარი და ტყე 31 დღს. 1312 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2625 მან. 6 კაბ. შეს. გარ. 208 მან. 20 კაბ.; სულ 2833 მან. 26 კ.

მაჭუაძის მელქისედექ დიმიტრის ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზეარი და სახნავ-სათესი 12 დღს. 1860 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2231 მან. 6 მან. შეს. გარ. 119 მან. 96 კაბ., სულ 2351 მან. 61 კაბ.

მისავე: სოფ. ჭყიშურის სახნავ-სათესი 26 დღს. 355 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 4463 მან. 87 კაბ. შეს. გარ. 307 მან. 21 კაბ., სულ 4771 მან. 8 კაბ.

მაჭუაძის ადმირალ ივანეს ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზეარი და სახნავ-სათესი 12 დღს. 90 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2678 მან. შეს. გარ. 195 მან. 82 კაბ., სულ 2873 მან. 82 კაბ.

მაჭუაძის ნესტორი და ვარლამ გიორგის ძეთა: სოფ. ჭყიშურის სახნავ-სათესი 32 დღს. 1010 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 6695 მან. 5 კაბ. შეს. გარ. 470 მან. 30 კაბ. სულ 7165 მან. 35 კაბ.

აგლანისას გრიგოლ თომას ძის: გუმთის აგარს ეზო, ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 20 დღს. 1693 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1077 მან. 90 კაბ. შეს. გარ. 83 მან. 83 კაბ., სულ 1161 მან. 73 კ.

აგლანისას ლუკა სიმონის ძის: ოფურინგეთის აგარს ეზო, ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 21 დღს. 225 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 932 მან. 87 კაბ. შეს. გარ. 71 მან. 3 კაბ., სულ 1003 მან. 90 კ.

ზაქარაიშვილას ილარიონ გიორგის ძის და ანტონ დავითის ძის: სოფ. ამალღვანა ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დღს. 1800 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 466 მან. 39 კაბ. შეს. გარ. 48 მან. 76 კაბ., სულ 515 მან. 15 კ.

ქრისტეფანის ვახუშტი დავითის ძის: სოფ. საღომინას ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 16 დღს. 1450 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1249 მან. 23 კაბ. შეს. გარ. 88 მან. 20 კაბ., სულ 1337 მან. 43 კაბ.

ამჭვლისას არისტო ივანეს ძის: სოფ. გეგუთის ეზო, ზეარი და სახნავ-სათესი 4 დღს. 140 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 677 მან. 58 კაბ. შეს. გარ. 60 მან. 48 კაბ., სულ 738 მან. 6 კაბ.

ლორთქიფანიას ტარიელ სიკას ძის: სოფელ კულაშს ეზო 3 დღს. თავნი ვალი 585 მან. 5 კაბ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაბ., სულ 635 მან. 52 კაბ.

კაენაძის სიღუან და ფეოდასი გიორგის ძეთა: სოფ. ოფნას ზეარი და ტყე 8 დღს. 1905 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 975 მან. 18 კაბ. შეს. გარ. 65 მან. 43 კაბ., სულ 1043 მან. 66 კაბ.

ნაჭრაძის დავით ოტის ძის: სოფ. ოფიშქეთის ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 47 დღს. 1500 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 3912 მან. 63 კაბ. შეს. გარ. 262 მან. 62 კაბ., სულ 4175 მან. 25 კაბ.

ნაჭრაძის ალექსანდრე ოტის ძის: სოფ. ოფიშქეთის ეზო, ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 22 დღს. 692 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1662 მან. 58 კაბ. შეს. გარ. 114 მან. 13 კაბ., სულ 1777 მან. 1 კ.

აგლანისას იესე სიმონის ძის: ქონეთის აგარს სახნავ-სათესი, ზეარი და ტყე 22 დღს. 1960 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1177 მან. 35 კაბ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაბ., სულ 1250 მან. 4 კაბ.

მაჭუაძის ადმირალ ივანეს ძის: სოფ. კულაშს სახნავ-სათესი 10 დღს. 300 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1766 მან. 4 კაბ. შეს. გარ. 120 მან. 4 კაბ. სულ 1886 მან. 8 კაბ.

კაენაძის სოლომონ (იგივე გიორგი.) ზურაბის

ძის სოფ. დიშ ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 ღეს. 2020 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2664 მან. 52 კაბ. შეს. გარ. 162 მან. 42 კაბ., სულ 2826 მან. 94 კაბ.

მისივე და ივანე ზურაბის ძის: სოფ. დიშ ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 14 ღეს. 730 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2763 მან. 21 კაბ. შეს. გარ. 167 მან. 50 კაბ., სულ 2930 მან. 71 კ.

მისაძმის თემურაზ ამირანის ძის: სოფ. საღა-მინაოს ეზო, ზვარი და ტყე 2 ღეს. 158 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 296 მან. 5 კაბ. შეს. გარ. 32 მან. 44 კაბ., სულ 328 მან. 49 კაბ.

მეფეაგის ელადიმირ მანუჩარის ძის: სოფ. ამაღ-ლეშას ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 15 ღეს. 354 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1979 მან. 24 კაბ. შეს. გარ. 72 მან. 15 კაბ., სულ 2051 მან. 39 კ.

შორანის მკვრისა,

ფეკრის ვახტანგ იესეს ძის: სოფ. კვალითს და ცხრაწყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 24 ღეს. თავნი ვალი 1669 მან. 36 კაბ. შეს. გარ. 137 მან. 76 კაბ., სულ 1807 მან. 12 კაბ.

მსკიძის დავით ბერის ძის: სოფ. ფუფს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 ღეს. 1800 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 384 მან. 38 კაბ. შეს. გარ. 39 მან. 99 კაბ., სულ 424 მან. 37 კაბ.

წუღუკიძის დავით და კონსტანტინე ანტონის ძეთა: სოფ. საზანოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 ღეს. 1418 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2613 მან. 54 კაბ. შეს. გარ. 136 მან. 30 კაბ., სულ 2749 მან. 84 კაბ.

მაჭყარიანის ბიკა ბეგანის ძის: სოფ. იდგმს და ბორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 ღეს. 300 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1177 მან. 36 კაბ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაბ., სულ 1250 მან. 5 კაბ.

წმინდისაძის რაჭვენ ბესოს ძის: სოფ. ლაშის ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 10 ღეს. 405 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 981 მან. 14 კაბ. შეს. გარ. 61 მან. 97 კაბ., სულ 1043 მან. 11 კ.

ფეკრის სპირიდონ გიორგის ძის: სოფ. ცხრა-წყაროს და კვალითს სახნავ-სათესი 51 ღეს. 719 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 9446 მან. 70 კაბ.

შეს. გარ. 801 მან. 8 კაბ., სულ 10247 მან. 78 კაბ.

თაყაიშვილის კონსტანტინე იოსების ძის: სოფ. თეთრასწყაროს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 30 ღეს. 560 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 3947 მან. 44 კაბ. შეს. გარ. 248 მან. 46 კაბ., სულ 4195 მან. 90 კ.

მაჭყარიანის დიმიტრი ბეგანის ძის: სოფ. ხონს, წყალაფორეთს და ალავერდს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 32 ღეს. 1536 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 5541 მან. 87 კაბ. შეს. გარ. 208 მან. 2 კაბ., სულ 5749 მან. 89 კაბ.

რბის მკვრისა,

იაშვილის ტამოთე როსტომის ძის: სოფ. წო-დას და სომიწოს ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი 8 ღეს. 160 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1293 მან. 86 კაბ. შეს. გარ. 85 მან. 5 კაბ., სულ 1378 მან. 91 კაბ.

წმინდისაძის გიგო ივანეს ძის და ბეგან ნიკოლოზ-ზის ძის: სოფ. წმინდის ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 6 ღეს. 1870 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 847 მან. 31 კაბ. შეს. გარ. 43 მან. 47 კაბ., სულ 890 მან. 78 კაბ.

სენაკის მკვრისა,

მაჭყარიანის ნესტორ გიგოს ძის, კვანტალიანის ბათუ მინილიძის ძის და გერგაიას პეტრე ტუას ძის: სოფ. კალაღიდს სახნავ-სათესი, საბალაყე და ტყე 750 ღეს. თავნი ვალი 12732 მან. 67 კაბ. შეს. 1172 მან. 58 კაბ., სულ 13905 მან. 25 კაბ.

თაყაიშვილის ჯაგუ და ნესტორ ეგნატეს ძეთა: სოფ. ზანათს სახნავ-სათესი 11 ღეს. 1680 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1347 მან. 32 კაბ. შეს. გარ. 93 მან. 1 კაბ., სულ 1440 მან. 33 კაბ.

მაჭყარიანის მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ცი-დარს სახნავ-სათესი 158 ღეს. 120 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 28243 მან. 94 კაბ. შეს. გარ. 1254 მან. 75 კაბ., სულ 29498 მან. 69 კაბ.

აკაფიანის ლუკა მერაბის ძის: სოფ. ბოგაშს ეზო და სახნავ-სათესი 22 ღეს. 1590 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2364 მან. შეს. გარ. 145 მან. 17 კაბ., სულ 2509 მან. 17 კაბ.

აგლანისას ელენე დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს ზეარი და სახნავ-სათესი 11 დღს. 60 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 1702 მან. 7 კაბ. შეს. გარ. 118 მან. 37 კაბ., სულ 1820 მან. 44 კაბ.

ბერძისას მემკვიდრეთა ივანე პეტრეს ძის: სოფ. შხეფს ეზო, ზეარი და სახნავ-სათესი 9 დღს. 450 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 667 მან. 44 კაბ. შეს. გარ. 33 მან. 38 კაბ., სულ 700 მან. 82 კაბ.

მიქელაძისას მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ცილორს ეზო და სახნავ-სათესი 41 დღს. 600 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 6751 მან. 65 კაბ. შეს. გარ. 481 მან. 46 კაბ., სულ 7233 მან. 11 კაბ.

მიქელაძისას ელადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და მსუიასას ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ცილორს სახნავ-სათესი 138 დღს. 820 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 22427 მან. 61 კაბ. შეს. გარ. 1330 მან. 6 კაბ., სულ 23757 მან. 67 კაბ.

კორასასი კარპეზ სიმონის ძის: სოფ. საჭილაოს ეზო და სახნავ-სათესი 9 დღს. 620 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 978 მან. 18 კაბ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაბ., სულ 1043 მან. 66 კაბ.

აგლანისას ლუკა მერაბის ძის: სოფ. საჭილაოს სახნავ-სათესი 4 დღს. 300 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 392 მან. 46 კაბ. შეს. გარ. 35 მან. 38 კაბ., სულ 427 მან. 84 კაბ.

გაბუნასი ნეოდინა დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს სახნავ-სათესი 6 დღს. 450 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 588 მან. 68 კაბ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაბ., სულ 639 მან. 15 კაბ.

მიქელაძისას ელადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და მსუიასას ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ცილორს ეზო, ზეარი, სახნავ-სათესი და ტყე 57 დღს. 840 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 5953 მან. 87 კაბ. შეს. გარ. 333 მან. 60 კაბ., სულ 6287 მან. 47 კაბ.

კორასასი გიგო გლახუას ძის: სოფ. ილორს პირველს ეზო, სახნავ-სათესი და ზეარი 7 დღს. 1200 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 994 მან. 94 კაბ. შეს. გარ. 42 მან. 8 კაბ., სულ 1037 მან. 2 კაბ.

ოზურგეთის მაზრისა.



თავადირობისა მემკვიდრეთა როსტომ ბეგანის ძის: სოფ. აკეთს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 64 დღს. 420 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 2624 მან. 17 კაბ. შეს. გარ. 194 მან. 41 კაბ., სულ 2815 მან. 58 კაბ.

კვჭანტირაისას კოსტანტინე იესეს ძის: სოფ. ოზურგეთს სახნავ-სათესი 4 დღს. 2100 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 287 მან. 19 კაბ. შეს. გარ. 31 მან. 73 კაბ., სულ 318 მან. 92 კაბ.

მაჭუტაძისას ალექსანდრე გიორგის ძის: ნიგოპოლის აგარს სახნავ-სათესი 102 დღს. თაენი ვალი 8020 მან. 89 კაბ. შეს. გარ. 453 მან. 92 კაბ., სულ 8474 მან. 81 კაბ.

მაჭუტაძისას ალექსანდრე გიორგის ძის: სოფ. ნიგოპოლის აგარს სახნავ-სათესი და ტყე 208 დღს. თაენი ვალი 9811 მან. 30 კაბ. შეს. გარ. 538 მან. 75 კაბ., სულ 10350 მან. 5 კაბ.

მისივე: ნიგოპოლის აგარს სახნავ-სათესი 107 დღს. 310 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 7796 მან. 9 კაბ. შეს. გარ. 433 მან. 75 კაბ., სულ 8229 მან. 84 კაბ.

მოკლე ვალიანი სესხნი.

ქ. ქუთაისის.

გამყურადობისა ნინა ლევანის ასულის: ბაღაბუზის ქუჩის შესახვევში სამოსახლო ადგილი 781 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 800 მან. შეს. გარ. 53 მან. 22 კაბ., სულ 853 მან. 22 კაბ.

ქუთაისის მაზრისა.

მემკვიდრეთა აგაშვილის კოსტანტინე ბეგანის ძის: ეზო, ზეარი და სახნავ-სათესი 23 დღს. 195 ოთხ-კუთხი საქ. თაენი ვალი 2000 მან. შეს. გარ. 195 მან. 50 კაბ., სულ 2195 მან. 50 კაბ.

